საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№36/12

31“მარტი” 2012

შ.პ.ს. ”კონცერნი თექა”-ს დირექტორს,
ბატონ გივი გეთიას.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, კიევის ქუჩა №10-ში მდებარე მშენებარე საცხოვრებელ კორპუსს, მისი ტექნიკური მდგომარეობისა და მშენებლობის გაგრძელების მიზნით. შენობის პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. ”თბილისი 96”-ს მიერ და შეთანხმებული იქნა ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორის ბრძანებით (იხ. №24. 07. 02. 2002წ.). პროექტით კორპუსი გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, გაბარიტული ზომებით 15.0x7.9მ. მისი სართულიანობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:
-ერთი სარდაფის სართული ნიშნულებში -2.60 ÷ ±0.00მ.
-ოთხი სართული ნიშნულებში ±0.00 ÷ +12.8მ. (სართულის სიმაღლით 320სმ.).
კონსტრუქციულად კორპუსი გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან ვარიანტში. მშენებლობის დაწყების შემდეგ აიგო სარდაფისა და პირველი სართული. 2002 წელს მშენებლობა შეჩერდა. ამჟამად შ.პ.ს. ”კონცერნი თექა”-ს ხელმძღვანელობას სურვილი აქვს, რომ გაგრძელდეს მშენებლობა და სხვენის ფარგლებში (12.8მ. ნიშნულს ზემოთ) მოეწყოს მანსარდის სართული, რისთვისაც დამუშავებულია კორექტირებული პროექტი.
შ.პ.ს. ”მონოლითი”, ადგილზე ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაცნობებთ, რომ ადგილზე არსებული კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მშენებლობის გაგრძელება შესაძლებლად მიგვაჩნია. მიზანშეწონილია მანსარდის სართულის მშენებლობაც.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. სველიძე/